Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#12, მაისი, 2020

ევროკავშირის არმია - მისი შექმნის იდეის გააქტიურების მიზეზები და პერსპექტივები

იაკობი ლაჩაშვილი

ანანო მუშკუდიანი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: klachashvili@gmail.com

mushkudianianano3@gmail.com

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ევროკავშირის არმიის შექმნის იდეას ეძღვნება. მასში ევროინტეგრაციის საწყისი ეტაპებიდან ურსულა ფონ დერ ლეიენის კომისიის ჩათვლით საერთო ევროპული თავდაცვის იდეის განვითარება და მისი ჩამოყალიბების მცდელობებია განხილული. ფედერაციული ევროპის იდეასთან ერთად ევროპული არმიის იდეაც დიდი ხნის განმავლობაში აქტიურად აღარ განიხილებოდა, თუმცა ევროკავშირის ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკოსებმა, საფრანგეთის პრეზიდენტმა - ემანუელ მაკრონმა, გერმანიის კანცლერმა - ანგელა მერკელმა და ევროკომისიის პრეზიდენტმა - ურსულა ფონ დერ ლეიენმა, ის დღის წესრიგში კვლავ დააბრუნეს. ნაშრომი ევროკავშირის ლიდერების აღნიშნული საკითხით დაინტერესების და მისი რეაქტუალიზაციის მიზეზებს აანალიზებს. კვლევის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიზეზებია: რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია; მიგრანტების კრიზისი; ტერორიზმის საფრთხე; ბრექსიტი და აშშ-ს პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, შეცვლილი პოლიტიკა ევროპის მიმართ. ასევე, ნაშრომში გამოთქმულია ვარაუდი, რომ საკითხის გააქტიურების მიუხედავად, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში ევროკავშირის არმია ვერ შეიქმნება. აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად მოყვანილია არგუმენტები, როგორებიცაა NATO-ს დუბლირების პრობლემა; პროექტისადმი აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგობა; დაფინანსების პრობლემა - ევროპული სახელმწიფოები პრიორიტეტს სოციალურ საკითხებს ანიჭებენ და თავდაცვის ხარჯების გაზრდას ერიდებიან, შედეგად კი NATO-ს სტანდარტს - მშპ-ს 2%-საც კი ვერ აკმაყოფილებენ; აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების უარყოფითი დამოკიდებულება ევროპული თავდაცვისადმი, რადგან ისინი უსაფრთხოების ატლანტიცისტურ პარადიგმას იზიარებენ; ევროკავშირში საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში გადაწყვეტილების მისაღებად სრული კონსენსუსის აუცილებლობა, რაც აღნიშნულ საკითხზე არაა; ევროკავშირის სახელმწიფოების შეზღუდული სამხედრო პოტენციალი.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირის არმია, NATO-ს დუბლირება, ევროპის უსაფრთხოება, ატლანტიციზმი, გოლიზმი.

შესავალი

ევროპის თავდაცვის კავშირისა და ერთიანი ევროპული არმიის შექმნის იდეა ჯერ კიდევ ევროინტეგრაციის საწყისი ეტაპებიდან, 1940-50-იანი წლებიდან იღებს სათავეს. მას შემდგომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა და მცირე პროგრესი აღინიშნებოდა, თუმცა ის დიდი დროის განმავლობაში მივიწყებული იყო. მაგრამ ევროკომისიის პრეზიდენტად ურსულა ფონ დერ ლეიენის დანიშვნის შემდგომ ევროკავშირის არმიის შექმნის იდეამ კვლავ შეიძინა აქტუალობა და მის პერსპექტივაზე თავად ლეიენმა დაიწყო საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში აღნიშნულ იდეას ახლაც არაერთი მხარდამჭერი ჰყავს, არმიის ფორმირება არათუ ვერ ხერხდება, არამედ საშუალო პერსპექტივაში შექმნის კონტურებიც არ ჩანს. მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, პასუხი გასცეს საკვლევ კითხვას, თუ რამ გამოიწვია საერთო ევროპული არმიის შექმნის იდეის დღის წესრიგში დაბრუნება. ასევე გამოყოფილია კვლევის ვარაუდი, რომ ევროპული არმიის შექმნა საშუალო და მოკლევადიან პერსპექტივაში ვერ მოხერხდება.

ევროპული არმიის ჩამოყალიბებას მხარს უჭერენ საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობებიც. მაკრონის განცხადების მიხედვით, "მომდევნო ათწლეულის დასაწყისისთვის ევროპამ უნდა შექმნას ერთიანი საინტერვენციო ძალა, ერთიანი თავდაცვის ბიუჯეტი და მოქმედების საერთო დოქტრინა" (Sorbonne speech of Emanuel Macron, 2017). მაკრონის მოწოდება იყო, რომ რუსეთის, აშშ-სა და ჩინეთისგან თავდასაცავად „ნამდვილი ევროპული არმია" შექმნილიყო. იგი ასევე აცხადებდა, რომ NATO-ს „ტვინი მკვდარია". მაკრონის შეხედულებისგან ურსულა ფონ დერ ლეიენის და სხვა გერმანელი პოლიტიკოსების ხედვა გარკვეულწილად განსხვავდება. ლეიენი პროექტს გრძელვადიან პერსპექტივად მიიჩნევს. ასევე, მისი აზრით, ევროპული დანაყოფები არა ცენტრალიზებული, არამედ ეროვნული მთავრობების დაქვემდებარებაში უნდა იყოს (Weise, 2019).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპელი პოლიტიკოსების მიერ ევროკავშირის არმიის შექმნის დღის წესრიგში დაბრუნების მიზეზების და ასევე მისი განხორციელების პერსპექტივების კვლევა საკმაოდ აქტუალურია.

ლიტერატურის მიმოხილვა

ევროპაში საერთო არმიის იდეის გააქტიურებას ავტორები სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან. Bloomberg-სთვის დაწერილ სტატიაში ანდრეას კლუთი (Kluth, 2019) წერს, რომ არსობრივად ორი მიზეზის გამოკვეთა შეიძლება. პირველი დონალდ ტრამპი და მისი NATO-სადმი პოლიტიკაა. იგივე მიზეზს ასახელებს Foreign Policy-სთვის დაწერილ სტატიაში ვაშინგტონის გლობალური პოლიტიკის ცენტრის დირექტორი, აზეემ იბრაჰიმი (Ibrahim, 2019). მისი აზრით, ტრამპს სურს აშშ-მა აღარ შეასრულოს „მსოფლიო პოლიციელის“ როლი, ხოლო NATO-ს უსარგებლოდ მიიჩნევს. მეტიც, ავტორის აზრით, ტრამპი პოლიტიკურ არასტაბილურობას ბერკეტად იყენებს, რათა მოკავშირეებისგან თავდაცვაში მეტი ფულადი კონტრიბუცია და ასევე სავაჭრო დათმობები მიიღოს. ავტორი NATO-ს დელოსის ლიგას ადარებს, სადაც ფორმალურად ყველა თანასწორია, თუმცა აშშ, ათენის მსგავსად, დომინანტის როლს ასრულებს. მაგრამ თუ აქამდე აშშ-ს მისი პირველობა მოსწონდა და სხვა წევრების დაბალ თავდაცვის ბიუჯეტს მისი გავლენის შენარჩუნების საშუალებად განიხილავდა, ამჟამინდელ აშშ-ის ადმინისტრაციას აღარ სურს „თავისი იმპერიისთვის“ გადაიხადოს და ევროპელ მოკავშირეებს თავდაცვაში ბიუჯეტის 2%-ის არგაღების გამო აკრიტიკებს. ავტორი აღნიშნულს აშშ-ის შეცდომად მიიჩნევს. მისთვის ამ გადაწყვეტილების ნულოვანჯამიან თამაშში განხილვა, როგორც ამას ტრამპის ადმინისტრაცია აკეთებს, არასწორია, რადგან ევროპა თუ აშშ-ისგან თავდაცვით სარგებლობდა, აშშ სანაცვლოდ დიდ და მდიდარ ბაზარს, პრესტიჟსა და რუსეთთან ბუფერს იღებდა. იბრაჰიმის მტკიცებით, აღმოსავლეთიდან ხელახლა აღმდგარი იმპერია და დასავლეთიდან ნელ-ნელა დასუსტებადი და უკვე არამეგობრული სუპერძალა ევროპელ ლიდერებს, განსაკუთრებით მერკელსა და მაკრონს, გამოსავლის ძებნისკენ უბიძგებს. ასევე ტრამპისა და პუტინის არგუმენტებს ასახელებს კიდევ ერთი ავტორი, ფაბრის პოტიე. მის მიხედვით, აშშ ევროპის

თავდაცვისთვის ხარჯებს კვეცავს, ხოლო რუსეთი, ჩინეთი და ირანი თავდასხმის რეჟიმში არიან და მათ წინააღმდეგ ყველაზე ძლიერ ევროპულ არმიებსაც კი არ შეუძლიათ დამოუკიდებლად თავის დაცვა. შესაბამისად, სწორედ ტრამპმა (აშშ-ის მიერ ევროპის უსაფრთოებაზე შემცირებულმა ხარჯებმა) და პუტინმა (ევროპაში რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ) მიახვედრა ევროპული მთავრობები, რომ ეროვნულ ბიუჯეტებში თავდაცვის ხარჯები უმნიშვნელო ვეღარ იქნება და 2015-16 წლებიდან თავდაცვაზე გამოყოფილი დაფინანსების გაზრდა დაიწყეს (Pothier, 2019). კლუთი მეორე მიზეზად საფრანგეთის პრეზიდენტს, ემანუელ მაკრონს, მიიჩნევს, რომელიც NATO-ს „ტვინის სიკვდილზე“ ალაპარაკდა. იბრაჰიმის აზრით, საფრანგეთს ევროპული არმიის შექმნა დიდი ხანია სურს და დღემდე ინარჩუნებს NATO-ში აშშ-ისგან გარკვეულ დამოუკიდებლობას და შეიარაღების განვითარებულ ინდუსტრიას. თუმცა ავტორისთვის გასაკვირია, რომ იდეას გერმანიის მთელი პოლიტიკური ელიტაც უჭერს მხარს, რადგან გერმანია ისტორიული მიზეზების გამო მსგავსი ინიციატივებისგან თავს იკავებდა. ამ შემთხვევაში გერმანიას მიეცემა ძალის გაზრდის შესაძლებლობა მისი არმიის რეფორმირების გარეშე, რაც კონსტიტუციურ და პოლიტიკურ პრობლემებთან იქნებოდა დაკავშირებული. მაკრონის სურვილს, რომ ევროპამ თავდაცვის სფეროში აშშ-ზე დამოკიდებულების გარეშე შეძლოს მეტის გაკეთება, აღნიშნავს საგარეო ურთიერთობების ევროპულ საბჭოს (ECFR) პლატფორმაზე გამოქვეყნებულ კომენტარში ულრიკე ფრანკეც (Franke, 2018). მაკრონის სურვილზე, ევროპა აშშ-ის დამოკიდებულების გარეშე შეძლოს თავდაცვა, მიუთითებს ვერჰეიდეც (Gros-Verheyde, 2018) და ასევე ამატებს მაკრონის მოტივსაც, რაც რუსეთთან გამკლავებას ეხება.

გოტინგენის ჯორჯ ავგუსტის უნივერსტიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და რუსული კვლევების პროფესორი, პეტერ შულციც (Schulze) ევროპული არმიის იდეის განმაპირობებლად ევროპაში აშშ-ის გავლენებისადმი საფრანგეთის ეჭვების როლს გამოყოფს. მისი აზრით, შარლ დე გოლის მსგავსად, მაკრონიც NATO-სა და ამერიკისადმი უარყოფითადაა განწყობილი და მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი 2009 წელს თავიდან შეუერთდა NATO-ს სამხედრო ნაწილს, გოლისტური ეჭვები კვლავ რჩება. შულციც ასევე ევროპული

არმიისა და ტრამპის პოლიტიკისადმი მაკრონისა და მერკელის ერთნაირ პოზიციაზე ამახვილებს ყურადღებას (Gjerovi, 2019).

მაურო და ჯეჰინი (Mauro&Jehin, 2019) საერთო ევროპული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის შექმნის გააქტიურების სამ მიზეზს ასახელებენ. მათი აზრით, ევროკავშირის სახელმწიფოებს საკუთარი თავის დაცვა აღარ შეუძლიათ. სტატიაში ნათქვამია, რომ სურვილის მიუხედავად, მათ აღარ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად იმოქმედონ 5 მნიშვნელოვან სტრატეგიულ არეალში: ხმელეთზე, წყალში, ჰაერში, კოსმოსსა და კიბერ-სამყაროში, რაც ამერიკული ინდუსტრიის მონოპოლიასა და ევროპაში თავდაცვის ბიუჯეტების მასიური შემცირების შედეგია. ავტორები მეორე მიზეზად NATO-ს სპეციფიკას მიიჩნევენ, რომლის მხიედვითაც, ის არა ალიანსი, არამედ პროტექტორატია. ცივი ომის პერიოდში NATO ევროპელთათვის ფარის ფუნქციას ასრულებდა და მათ საბჭოთა სამხედრო თუ იდეოლოგიური გავლენებისგან იცავდა, ბერლინის კედლის დაშლამ და სსრკ-ს დანგრევამ კი მისი მოქმედების სპეციფიკა შეცვალა. ხოლო ავტორების აზრით, ევროპული არმიის შექმნის იდეის მესამე მიზეზი ევროპის მიერ მსოფლიოში თავისი ინტერესების დაცვის საჭიროებაა.

ელიზაბეთ ბრაუ (Braw, 2018) Wall Street Journal-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მაკრონის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე აკეთებს აქცენტს, სადაც მან ჩინეთისგან, რუსეთისგან და აშშ-სგან თავდაცვის აუცილებლობაზე ისაუბრა. მას ევროპული თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემის შექმნის დღის წესრიგში დადგომის მთავარ მიზეზად საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში ევროპის, როგორც უნიტარული აქტორის, როლის გაძლიერებასთან დაკავშირებით მაკრონის პოზიცია მიაჩნია.

განხილული ავტორები ძირითადად ევროპული არმიის შექმნის საჭიროებისა და აღნიშნული იდეის გააქტიურების მიზეზებზე მიუთითებენ. ხოლო მათი პათოსის გაგრძელებას წარმოადგენს ოპტიმისტური მსჯელობა ევროპული არმიის შექმნის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

იბრაჰიმი (2019) ამტკიცებს, რომ ევროპა თავისი არმიის შესაქმნელად მზადაა. ის ევროპული არმიის შექმნას შესაძლებლად საფრანგეთ-გერმანიის ერთობლივი

სურვილის გამო მიიჩნევს. მისი აზრით, საფრანგეთი ძალის როლს შეასრულებს, ხოლო გერმანია - დამფინანსებლის, მათ კავშირს კი ცვლილების მოხდენა შეუძლია. წევრი სახელმწიფოების დამოკიდებულებას - ევროკავშირს ეკონომიკურ პროექტად მიიჩნევენ თუ პოლიტიკურად, იბრაჰიმი ევროკავშირის არმიის შექმნისთვის დაბრკოლებად განიხილავს. მისი აზრით, კავშრიდან ბრიტანეთის გასვლა პროექტის განხორციელებას უფრო შესაძლებელს ხდის, თუმცა ზოგისთვის (მაგალითად, პოლონეთი, უნგრეთი) სუვერენიტეტის საკითხი კვლავ სენსიტიურია. ავტორი მათი წინააღმდეგობის დაძლევის ვარიანტად სახელმწიფოების მიერ თავისი არმიების შენარჩუნებას, ოპერაციულ ავტონომიას და ევროპული არმიის გამოყენებაზე ვეტოს უფლებას ასახელებს, თუმცა განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში ევროპული არმია უსარგებლო იქნება. საბოლოოდ იგი ასკვნის, რომ თუ საფრანგეთი და გერმანია საერთო არმიის შექმნას განიზრახავენ, უნგრეთი მათ შეჩერებას ვერ შეძლებს, ხოლო სხვა პატარა სახელმწიფოები (მაგალითად, ბენილუქსის ქვეყნები) პროექტს აუცილებლად შეუერთდებიან. ავტორი კი აცხადებს, რომ გერმანია-საფრანგეთმა ამ მხრივ თანამშრომლობა უკვე დაიწყეს, რადგან ამჟამად პოლიტიკური ნება აქვთ, რომელიც იარსებებს მანამ, სანამ რუსეთი აგრესიული, აშშ კი - არასანდო იქნება. ხოლო თუ მოცემული სიტუაცია გაგრძელდება, ევროპა ნამდვილად გადაიქცევა სამხედრო ძალად.

სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის (IISS) მიერ გამოქვეყნებულ ანალიზში იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია ევროპული არმიის შექმნა, ავტორი, ფაბრის პოტიე (2019), ევროკავშირის არმიის შექმნას შესაძლებლად თვლის, თუ სამი პირობა შესრულდება:

1) ევროპული თავდაცვის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანა გახდება და სახელმწიფოები თავდაცვის საკითხებში მათი დამოუკიდებლობის ნაწილს დათმობენ, რათა კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების პროცესი ჩამოყალიბდეს. ავტორის აზრით, თავადცვის საკითხებზე ხმის მიცემა კვალიფიციური უმრავლესობით უნდა მოხდეს, ახალი საბჭო შეიქმნას და გაიზარდოს ევროპარლამენტის ჩართულობა. პოტიეს მიაჩნია, რომ სწორედ

პოლიტიკური ასპექტია მნიშვნელოვანი, რადგან ამოცანის შესასრულებლად ფინანსების მობილიზება შედარებით მარტივია.

2) ევროპული თავდაცვის ინტეგრაცია არ უნდა იყოს ვერტიკალური, არამედ ის სხვა ბერკეტებთან (მაგალითად, ეკონომიკური სანქციები) ჰორიზონტალურად უნდა იყოს ინტეგრირებული.
3) ევროპული თავდაცვის ინტეგრაციამ ტრადიციული უსაფრთოების საკითხების გარდა უნდა მოიცვას ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სფეროები, როგორებიცაა ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი და ენერგეტიკა და ევროპამ ამ სფეროებშიც უნდა მოიპოვოს გარკვეული ავტონომია სხვა სახელწიფოებისგან.

რუსული think-tank-ის, ვალდაის სადისკუსიო კლუბისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პლატფორმებზე გამოქვეყნებულ ექსპერტის აზრში ფიოდორ ბასოვი (Basov, 2019) წერს, რომ ტრანსატლანტიკური ურთიერთობა უსაფრთხოების პრობლემებზე ნაკლებად დამოკიდებული გახდა, რაც ევროპული არმიის საკითხს აქტუალურს ხდის. იგი ასევე იზიარებს მოსაზრებას, რომ დონალდ ტრამპის კომენტარებმა, რომ აშშ ევროპის-ის უსაფრთხოებისთვის არ გადაიხდიდა, ევროპელ პოლიტიკოსებს ევროპული თავდაცვის ჩამოყალიბებისთვის მეტი ყურადღების მიქცევა აიძულა. ფიოდორ ბასოვი (2019) მიიჩნევს, რომ ევროკავშირისა და NATO-ს ფუნქციების შესაძლო დიქოტომია ევროკავშირში თავდაცვის სფეროში ინტეგრაციის სერიოზული პრობლემა შეიძლება იყოს. მაგრამ ის ფიქრობს, რომ ევროპული უსაფრთხოების იმ მხრივ დაყოფა, სადაც NATO მხოლოდ კრიტიკული და ხისტი უსაფრთხოების გამოწვევების დროს იმოქმედებს, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში წევრი სახელმწიფოები ევროკავშირის ფორმატით იმოქმედებენ, ევროპული არმიის პროექტის განხორციელებას შესაძლებელს ხდის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ იგი NATO-ევროკავშირს შორის ფუნქციების ამგვარი გამიჯვნის დროს ზღვარს კონკრეტიკის გარეშე ავლებს და რეალობაში ფუნქციების ამგვარი დაყოფა პრობლემური საკითხი იქნება. იგი ასევე თვლის, რომ ევროპაში უსაფრთხოების სფეროში ინტეგრაცია უზრუნველყოფს იმას, რომ ავსტრია, ირლანდია, ფინეთი და შვედეთი არ გაწევრიანდებიან NATO-ში, რაც რუსეთისთვის სასარგებლო იქნება.

აზრს, რომ ევროპული არმიის პროექტი რუსეთის ინტერესებში ჯდება, კიდევ ერთი რუსი ავტორი, ირინა ალკსნისიც (Алкснис, 2018) იზიარებს.

ევროპული არმიის განვითარების შედარებით ისტორიულ კვლევაში, ავტორი, სტადნიკი (Stadnik, 2016) წერს, რომ წევრ სახელმწიფოებს სუვერენიტეტის გადაცემა არ სურთ, თუმცა არსებობს სხვადასხვა მიზეზი, რის გამოც ევროპული სახელმწიფოები თავდაცვის სფეროში ინტეგრაციას განაგრძობენ. ერთ-ერთ მიზეზად გამოყოფს ევროკავშირის მოსახლეობის დამოკიდებულებას, რომლის მიხედვითაც უმეტესობას მიაჩნია, რომ ევროკავშირი NATO-სა და ეროვნულ მთავრობებზე უკეთ შეძლებს თავდაცვას. მეორე მიზეზად კი „მონეს კანონს“ ასახელეს, რომლის მიხედვითაც ხალხი ცვლილებას იღებს მაშინ, როდესაც ამისი საჭიროებაა. ხოლო რუსეთის აგრესიის, მიგრაციის კრიზისის, ბრექსიტისა და აშშ-ის ყურადღების აზიაში გადატანის შედეგად ევროპაში უსაფრთხოების აღქმა შეიცვალა.

აღნიშნულ მოსაზრებებთან ერთად, არსებობს განსხვავებული, პაციფისტური აზრიც. მის მიხედვით, მაკრონისა და მერკელის სურვილი, შექმნან ევროპული არმია, მშვიდობის დამყარების გზა არაა და უმჯობესია, ევროპამ კონფლიქტების გადაჭრის ქსელები გააფართოოს (O’Brien, 2018).

ზემოთ დასახელებული იდეების საპირისპიროდ, რიგი ავტორები ევროპული არმიის შექმნის პერსპექტივას სკეპტიკურად უყურებენ. მაგალითად, ევროპის რეფორმის ცენტრის სტატიაში სოფია ბეში (Besch, 2016) გამოყოფს ოთხ მიზეზს, თუ რატომ ვერ შეიქმნება ევროკავშირის არმია: 1) ევროკავშირის წევრი ქვეყნების თავდაცვის კულტურების განსხვავებები, რაც თანამშრომლობას გაართულებს; 2) ევროპული ძალების გამოყენების საკითხზე წევრები ვერ შეთანხმდებიან და სუვერენიტეტის დაცვის მიზნით ეროვნული მთავრობები ევროპული ძალის გამოყენებას დაბლოკავენ; 3) ახალი ველოსიპედის გამოგონება - გოლისტები ევროპული თავდაცვის განვითარებას უჭერენ მხარს, თუმცა ევროკავშირის ატლანტიცისტი წევრები NATO-სა და აშშ-ს უფრო ენდობიან თავდაცვაში; 4) საკითხისადმი ევროკავშირის სახელმწიფოების რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები, რაც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას შეუძლებელს გახდის. კლუთიც ფიქრობს, რომ ევროკავშირის არმია არასდროს შეიქმნება და NATO კვლავ სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვანია. პოზიციის განსამტკიცებლად მას აგრეთვე მოჰყავს წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტის, განსხვავებული ისტორიული ტრადიციებისა და განსხვავებული ინტერესების (საფრანგეთის პოსტკოლონიური ამბიციები აფრიკაში; გერმანიის თანამშრომლობა რუსეთთან მილსადენის მშენებლობაში, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის რუსეთთან დაპირისპირება, რის გამოც მათ აშშ-ზე დამოკიდებულება ურჩევნიათ) არგუმენტები (Kluth, 2019). ევროპისათვის აშშ-ის უსაფრთხოების გარანტიებს უსვამს ხაზს ვერჰაიდეც და ასკვნის, რომ მაკრონის პროექტს მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მცირე ნაწილი შეუერთდება (Gjerovi, 2019). ელიზაბეტ ბრაუ ამტკიცებს, რომ ევროკავშირის სტრატეგიული ავტონომია შესაძლოა პოლიტიკურად ზოგისთვის სასურველი იყოს, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით არარეალურია, რადგან ევროპას არ აქვს დამოუკიდებელი შემაკავებელი ბირთვული ძალა, კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფისა და სამხედრო-კრიზისების დროს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ინტერვენციის შესაძლებლობა. ამიტომ ისინი ვერ შეძლებენ რუსეთის, ჩინეთისა და აშშ-ის შეკავებას, როგორც ეს მაკრონს სურს (Braw, 2018).

ეგლედერი ევროკავშირის არმიის შექმნის დამაბრკოლებელ ფაქტორად სხვა ავტორების მსგავსად იზიარებს სუვერენიტეტის არგუმენტს, თუმცა ასევე გამოყოფს თავდაცვის ინდუსტრიების საკითხს. მისი აზრით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს განსხვავებული ტიპის ტანკები, ავიაცია და ფლოტი ჰყავთ. ეს კი მათ კოორდინაციას და ერთობლივ გამოყენებას ართულებს, როგორც პრაქტიკული და სამხედრო, ისე ფინანსური თვალსაზრისით. ავტორი აღნიშნავს, რომ PESCO, ევროპის თავდაცვის ფონდი და გერმანია-საფრანგეთის მომავალი თაობის შეიარაღების საერთო ძვირადღირებული პროექტი ამ პრობლემის აღმოფხვრას ემსახურება. თუმცა, მისი აზრით, ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა პოლონეთი და იტალია კვლავ აშშ-ის შეიარაღების შესყიდვას ამჯობინებენ, რაც დაბრკოლებას წარმოადგენს (Egleder, 2020).

ვერჰეიდე (2018) წერს, რომ ევროკავშირის არმია ტაბუდადებული საკითხი აღარაა, თუმცა ამ მოცემულობაში მაინც უტოპიური აზრია. მისი აზრით, პროექტის იმპლემენტაციას თავდაცვის პოლიტიკაში ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება ართულებს. ის მიიჩნევს, რომ ერთიანი არმიის შექმნა დასაწყისისთვის

საფრანგეთისა და გერმანიის ჩათვლით მხოლოდ ხუთ-ექვს წევრ სახელმწიფოს შორისაა შესაძლებელი. ვერჰეიდეს აზრით, საერთო არმიას თანამედროვე ევროკავშირზე მეტად ინტეგრირებული ორგანიზაციაც ესაჭიროება.

ფრანკეს (2019) მიხედვით, ევროპული არმიის იდეა ძალიან მასშტაბური პროექტია, რომელსაც განხორციელება არ უწერია. მისი აზრით, გერმანია და საფრანგეთი ევროკავშირის არმიის კონცეფციას სხვადასხვანაირად ხედავენ და თუ ევროპელი ლიდერები მისი შექმნის შესაძლებლობას რეალურად განიხილავენ, მაშინ მათ უფრო დეტალური ახსნა უნდა წარმოადგინონ. ფრანკე მიიჩნევს, რომ იდეის ინტერპრეტაციისადმი ევროკავშირის „სტრატეგიული გაურკვევლობა“ არ მუშაობს. ხოლო თუ რეალური შედეგის მიღწევა სურთ, ან განზრახ შექმნილი გაურკვევლობა უნდა აიცილონ თავიდან ან თავად ტერმინი.

მოცემულ ნაშრომში დასახელებული საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ ავტორთა უმრავლესობა ყურადღებას მხოლოდ ევროპული არმიის შექმნის იდეის გააქტიურების ან მისი შექმნის/ვერ შექმნის შესაძლებლობის გარკვეულ ასპექტზე ამახვილებს. თუმცა არ არსებობს სისტემური ახსნა ევროკავშირის არმიის შექმნის დღის წესრიგში დაბრუნებისა და მისი პერსპექტივის შესახებ. სტატიის მიზანია ევროპის ერთიანი არმიის შექმნა ახსნას უსაფრთხოების გარე გამოწვევებთან დაკავშირებული პრობლემების, ევროპის დიდი ძალის პოლუსად ჩამოყალიბებისა და აშშ-სთან გარკვეული მეტოქეობის არგუმენტებით მაშინ, როცა არსებული ლიტერატურა მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე (ან მის ნაწილზე) აკეთებს აქცენტს. ამასთან, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურის დეფიციტი არსებობს მისი ისტორიული ანალიტიკისა და პარადიგმების ჭრილში. შესაბამისად, აშკარაა, რომ საკითხთან დაკავშირებით კომპლექსური ანალიზი არაა გაკეთებული, რის შევსებასაც მოცემული ნაშრომი ისახავს მიზნად.

კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული კვლევის პროცესში საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად და იმის დასასაბუთებლად, რომ ევროპული არმიის შექმნა მოკლე და საშუალოვადიან

პერსპექტივაში ვერ მოხერხდება, გამოყენებულია ლიტერატურის მიმოხილვის, კონტენტ-ანალიზისა და ისტორიციზმის (ისტორიული ანალიტიკის) მეთოდები. მიმოხილულია საექსპერტო და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც ევროკავშირის არმიის შექმნის იდეის გააქტიურებას სხვადასხვა კუთხიდან ხსნიან; ასევე განხილულია ევროპული არმიის შექმნის პერსპექტივისადმი ოპტიმისტურად და სკეპტიკურად განწყობილი ავტორების არგუმენტები, მათი ხედვები და შეფასებები. კონტენტ ანალიზისთვის გამოყენებულია კვლევისთვის რელევანტური ქვეყნების ლიდერებისა და ევროკომისიის პრეზიდენტების მოსაზრებები, მათი შეფასებები, ვარაუდები და მოლოდინები. ისტორიციზმის (ისტორიული ანალიტიკის) ფარგლებში ევროპული არმიის შექმნის იდეისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების განხილვითა და მათი შედარებითი ანალიზის მეშვეობით გამოკვეთილია საერთო არმიის შექმნის სურვილისა და მისი წარუმატებლობის მიზეზები. ამასთან, ანალიზი განხორციელებულია ევროპული უსაფრთხოების პარადიგმების (გოლიზმი და ატლანტიციზმი) ჭრილში.

ევროპული არმიისა და საერთო ევროპული თავდაცვის პროექტების ისტორია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის უსაფრთხოების ორი ძირითადი კონცეფცია არსებობს: ე.წ. „გოლისტური“ მიდგომა და ატლანტიციზმის პარადიგმა.

ატლანტიციზმი იგივე ტრანსატლანტიციზმი მსოფლიოს სტაბილურობისა და კეთილდღეობის საკითხებში ევროპელებსა და ამერიკელებს შორის თანამშრომლობის იდეას ემყარება. ტრანსატლანტიციზმი ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ამერიკის მცდელობის მემკვიდრეობა აღედგინათ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული ევროპა შემდეგი ინსტიტუტების დახმარებით: ბრეტონ-ვუდსის სისტემა, მარშალის გეგმა და NATO. ატლანტიციზმი იყო აშშ-ის ძალაუფლების გამოვლინებაც. საბჭოთა კავშირისაგან დასავლეთ ევროპისადმი გამოწვეული საფრთხის გამო, ის ცივი ომის დროს მნიშვნელოვანი გახდა (Schwartz, 2018). ატლანტიციზმის ხედვა NATO-ს მეშვეობით ევროპული უსაფრთხოების აშშ-სთან დაკავშირებას ისახავს

მიზნად. ევროპაში ატლანტიციზმის ყველაზე აქტიურ მხარდამჭერად გაერთიანებული სამეფო მიიჩნეოდა (Voskopoulos, 2006).

ამის საპირისპირო ხედვას წარმოადგენს იდეები ძლიერი ევროპის შესახებ, რომელიც იქნება სხვა ძალის პოლუსების (ძირითადად აშშ-ს) თანასწორი მოთამაშე საერთაშორისო სისტემაში. ეს იდეები ძირითადად საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, გენერალმა შარლ დე გოლმა ჩამოაყალიბა და ამიტომაც მას ხშირად „გოლიზმად“ მოიხსენიებენ. დე გოლი ევროპული ფედერაციის იდეებით არ გამოდიოდა და მას საფრანგეთის, როგორც ევროპული და გლობალური ძალის როლის გაზრდა სურდა. შესაბამისად, შარლ დე გოლი და შემდეგ უკვე გოლიზმი ევროპაში აშშ-ს გავლენის შემცირების და მისი გავლენისგან გათავისუფლების აზრით გამოდის, რაც ევროპის საერთო თავდაცვით - ევროპული არმიის შექმნით იქნება შესაძლებელი. დე გოლი გაერთიანებულ სამეფოს ევროპაში აშშ-ს ინტერესების გამტარებლად მიიჩნევდა. აშშ-ზე დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად ევროპის ერთიანობის იდეა ატლანტიციზმის პარადიგმას ეწინააღმდეგებოდა როგორც თავდაცვაში, ისე - ეკონომიკაში (ოღონდ ეს უნდა ყოფილიყო სახელმწიფოთაშორის დონეზე და არა სუპრაეროვნულ დონეზე) და უფრო გვიანდელი ევროპეიზმის იდეებში ჯდებოდა (Europeanism). ამ იდეების გათვალისწინებით, შარლ დე გოლმა 1966 წელს საფრანგეთი NATO-ს სამხედრო ნაწილიდან გამოიყვანა. ისტორიის მანძილზე ხშირად ღვივდებოდა გოლისტური მიდგომა ერთიანი ევროპული არმიის, ერთიანი ევროპის თავდაცვის მექანიზმის ჩამოყალიბების შესახებ (Voskopoulos, 2006).

პირველად ეს იდეა ევროინტეგრაციის საწყის ეტაპზევე გამოჩნდა. ჟან მონემ შეიმუშავა ევროპის თავდაცვის გაერთიანების გეგმა, რომელიც 1950 წელს გახმოვანდა, როგორც პლევენის გეგმა (საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი). ეს იყო ინიციატივა, შეექმნათ ინტეგრირებული ევროპული არმია გაერთიანებული სარდლობის ქვეშ. 1952 წლის მაისში ევროპული თავდაცვის თანამეგობრობის პროექტს ხელი საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ბელგიამ, ჰოლანდიამ და ლუქსემბურგმა მოაწერეს. თუმცა, 1954 წელს საფრანგეთში ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია რეფერენდუმზე ძირითადად სუვერენიტეტის შეზღუდვის მიზეზით ჩავარდა. ამის შემდგომ, 1948 წელს შექმნილი ბრიუსელის ხელშეკრულების ორგანიზაცია (საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის,

ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის კავშირი, რომლითაც მხარეები სამხედრო დახმარებას კისრულობდნენ) 1954 წელს გადაკეთდა დასავლეთ ევროპულ კავშირად (Western European Union) და მასში გერმანიაც შევიდა (კაპანაძე, 2006). ევროპული თავდაცვის თანამეგრობრობის ჩამოყალიბების მცდელობა საერთო ევროპული არმიის შექმნის იდეის საფუძვლად შეგვიძლია აღვიქვათ. ისევე როგორც 1950-იან წლებში, დღესაც ევროპული არმიის იდეა გოლიზმის პარადიგმის პრაქტიკაში გატარების მცდელობის გამოვლინებაა. თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ ევროპული თავდაცვის თანამეგობრობის შექმნის გეგმა ევროპული არმიის წინამორბედთან ერთად, მისი შექმნის წარუმატებლობის კლასიკურ მაგალითადაც რჩება. საერთო არმიის საწინააღმდეგო სახელმწიფოს სუვერენიტეტის არგუმენტი დღესაც აქტუალურია. მეტიც, 1950-იან წლებში ერთიან თავდაცვის პოლიტიკაში შეთანხმება ექვსმა სახელმწიფომ ვერ შეძლო, ხოლო დღეს უკვე ბევრად მეტი მოთამაშეა და, შესაბამისად, კონსენსუსის მიღწევაც უფრო რთულია.

1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულებით დადგინდა, რომ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს საერთო თავდაცვის შემუშავებასაც, დასავლეთ ევროპული კავშირი ევროკავშირის განვითარების განუყოფელი ნაწილი გახდა და მას აღნიშნული ინიციატივების დამუშავება და იმპლემენტაცია დაევალა. ხოლო უკვე 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებით საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კომპეტენციაში შევიდა ე.წ. პეტერსბერგის ამოცანები (ისეთი კონფლიქტების მოგვარება, რომლებიც საჭიროებს სამშვიდობო და სამაშველო ოპერაციებს და ჰუმანიტარულ დახმარებას). ასევე გადაწყდა, რომ დასავლეთ ევროპული კავშირი შეერწყმებოდა ევროკავშირს და ფაქტობრივად გახდებოდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სამხედრო ორგანო. 1998 წელს სენტ მალოში მოხდა ისტორიული ფაქტი, როდესაც იუგოსლავიის დაშლის დროს არაქმედითუნარიანობამ და აშშ-სა და NATO-ზე დამოკიდებულებამ, გადააწყვიტინა გაერთიანებულ სამეფოს კურსის ცვლილება და ევროპის ავტონომიური სამხედრო ორგანიზაციის მხარდაჭერა და ტონი ბლერმა (გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი) და ჟაკ შირაკმა (საფრანგეთის პრეზიდენტი) მიიღეს დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც ევროკავშირს მეტად უნდა ეთანამშრომლა თავდაცვის სფეროში და შეექმნა საერთო სამხედრო ძალა ახალი საფრთხეების საპასუხოდ, მაგრამ NATO-ს

როლი ევროპაში ამით არ უნდა დაკნინებულიყო. ევროპის სახელმწიფოებმა დაინახეს რა ბოსნიასა და კოსოვოში თავიანთი არაეფექტურობა, ჰელსინკის ევროპულ საბჭოზე ე.წ. „მთავარი ამოცანა“ დაისახეს, რაც სწრაფი რეაგირებისა და პეტერსბერგის ამოცანების შესრულებისათვის 50-60 ათას კაციანი ჯარის შექმნას. ეს გეგმები 1999 წელს კიოლნის ევროპულ საბჭოზე გაიწერა. კავშირის ატლანტიცისტი წევრები აშშ-ს არწმუნებდნენ, რომ ხელშეკრულება NATO-სა და აშშ-ს როლს არ ზღუდავდა. თუმცა მიუხედავად ამისა, 1992 წლის მაასტრიხტისა და 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებები და დასავლეთ ევროპული კავშირის ევროკავშირში ინტეგრაცია დღეს ევროპული არმიის შექმნის დღის წესრიგში არსებობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორებია. სწორედ აღნიშნული ნაბიჯებით ჩაეყარა საფუძველი და გადაწყდა, რომ ევროკავშირს საერთო თავდაცვის პოლიტიკა შეემუშავებინა და ასევე ცივი ომის შემდეგომ შეცვლილი რეალობებისა და ძალთა პოლუსების და გარე საფრთხეებთან დამოუკიდებლად გამკვლავების სურვილის გამო ევროპული არმიაც შექმნილიყო. დასახელებული შეთანხმებები ევროკავშირის ხელშეკრულებებში გოლიზმის ელემენტების გამოჩენას წარმოადგენდა.

თუმცა დასახული გეგმა ვერ განხორციელდა. 1998 წელს შეიქმნა ევროპოლი - ევროპის პოლიციის სამსახური და 2000 წელს მხოლოდ 5 ათას კაციანი საპოლიციო ძალის შექმნის შესახებ შეთანხმდნენ. თუმცა ევროკავშირი იმეორებდა, რომ მისი თავდაცვის განვითარება მოხდებოდა NATO-ს ფარგლებს შიგნით. 1992, 1994 და 1996 წლებში დამყარდა კავშირი NATO-სა და დასავლეთ ევროპულ კავშირს შორის. გადაწყდა, განვითარებული ევროპის თავდაცვის პროექტი NATO-ს შიგნით და ამ მიმართულებით ხელი მოეწერა 2002 წელს ე.წ. „ბერლინი +“ შეთანხმებას, რომელიც ევროკავშირისა და NATO-ს თანამშრომლობას უზრუნველყოფდა და ითვალისწინებდა ევროკავშირისათვის NATO-ს შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას, NATO-ს მიერ საჭიროების შემთხვევაში ევროპული ოპერაციებისათვის ძალების გამოყოფას და ა.შ. 2003 წელს კი ამ ღონისძიებების მხარდასაჭერად შეიქმნა ევროკავშირი-NATO-ს შესაძლებლობების ჯგუფი (კაპანაძე, 2006, გვ. 72). ამ შემთხვევამ კი გამოკვეთა ევროპული არმიის შექმნის ის სირთულეები, რომლებიც დღესაც რელევანტურია და მრავალრიცხოვანი კონტიგენტის ჩამოყალიბებაზე ყველა წევრის შეთანხმებას, კონტიგენტის ფინანსურად და

რესურსულად უზრუნველყოფასა და მის გამოყენებას უკავშირდება. ხოლო „ბერლინ+“-ის შეთანხმებით ევროპული თავდაცვის სფეროში კვლავ NATO-ს როლის წინ წამოწევა და მასზე დამოკიდებულების გარკვეულწილად გაზრდა, ევროპულ უსაფრთხოებაში ატლანტიციზმის პარადიგმის აშკარა გამოვლინებაა.

2017 წელს ევროკავშირის 23-მა წევრმა სახელმწიფომ „მუდმივი სტრუქტურირებული თანამშომლობის“ დოკუმენტს (PESCO) მოაწერა ხელი, რაც ევროკავშირის არმიისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა ის უფრო ადმინისტრაციული ხასიათის შეთანხმებაა (DW, 2017). მოცემულ შემთხვევაში ატლანტიციზმის პარადგიმისადმი ზურგის შექცევა და ევროპული პოლიტიკის დღის წესრიგში ერთიანი ევროპული არმიის შექმნის იდეის დაბრუნება გარკვეულწილად კვლავ ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში მიზეზები უფრო კომპლექსური ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, ევროპული არმიის შექმნის პერსპექტივა წარსული გამოცდილებების მსგავსად მკვდარშობილია, რაც ქვემოთ იქნება განხილული. ასევე ლეიენის წინამორბედი, ევროკომისიის ყოფილი პრეზიდენტი ჟან კლოდ იუნკერი საერთო თავდაცვის აპოლოგეტი იყო. იგი PESCO-ს შექმნას Twitter-ზე გამოეხმაურა, მოიწონა და მას ლისაბონის ხელშეკრულების „მძინარე მზეთუნახავი“ უწოდა. მეტიც, PESCO ევროკავშირის თავდაცვის კავშირის შექმნის საფუძვლად აღიქვა (DW, 2017). იუნკერი ევროკავშირის ლიდერებს ევროკავშირის არმიის შექმნისაკენ აქტიურად მოუწოდებდა, თუმცა აღნიშნავდა, რომ ამ პროექტმა აშშ-სა და ევროპის ურთიერთობები არ უნდა დაძაბოს, პირიქით - აშშ-სა და ევროპის პარტნიორობა უნდა შენარჩუნდეს, რადგან მათი ალიანსი მსოფლიოს სჭირდება (DW, 2016). ხოლო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჰეიკო მაასმა, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ასევე გააჟღერა იდეა, რომ 10 წელში ევროპის თავდაცვის კავშირი შეიქმნას და აღნიშნულ საკითხზე დიალოგის გამართვასთან დაკავშირებით მაკრონის შემოთავაზება მიიღო (DW, 2020). ევროკავშირის არმიის შექმნის იდეას გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიაც უჭერს მხარს, რაც გასაკვირია, რადგან ტრადიციულად ისინი გერმანიისგან ყველა სამხედრო ინიციატივის წინააღმდეგი არიან (Kaleta, 2019).

როდესაც ფონ დერ ლეიენი ევროკომისიის პრეზიდენტის პოსტზე იყო წარდგენილი, მან თავისი ხედვა ჩამოაყალიბა, რომ „ევროპამ უნდა ისწავლოს ძალის ენა“, რადგან თუ ევროკავშირს მსოფლიო არენაზე თავის დამკვიდრება სურს, ამისთვის რბილი ძალა საკმარისი აღარ იქნება (DW, 2019). ხოლო უკვე ევროკომიის პოსტზე ყოფნისას დავოსის ფორუმზე განაცხადა, რომ ევროკავშირმა სათანადო სამხედრო შესაძლებლობები უნდა განავითაროს, რათა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე გავლენა ჰქონდეს. მისი აზრით, ხისტი ძალა ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი საშუალება უნდა გახდეს, რადგან აქამდე სხვადასხვა კრიზისთან მიმართებით ევროპა საკმაოდ რბილი იყო. მან ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირის სამხედრო შესაძლებლობები NATO-ს დამატება და მისგან განსხვავებული უნდა იყოს (Brown & Herszenhorn, 2020). ფონ დერ ლეიენის აღნიშნულ მოსაზრებებში კარგად იკვეთება, რომ ევროპული არმიის შექმნა გარე საფრთხეებთან დამოუკიდებლად გამკლავებისა და დამოუკიდებელ ძალად ჩამოყალიბების სურვილიდან გამომდინარეობს, რათა საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე მოვლენებზე ევროკავშირს გავლენის მოხდენა შეეძლოს.

იგივე გზავნილები იკვეთება ჯერ კიდევ გერმანიის თავდაცვის მინისტრის პოსტზე ყოფნისას დროს ფონ დერ ლეიენის მიერ გერმანულ გამოცემაში, Handelsblatt-ში, გამოაქვნებულ სტატიაში სათაურით - „ევროპა არმიას ქმნის“. იმ დროს გერმანიის თავდაცვის მინისტრი მიიჩნევდა, რომ ევროკავშირის შეიარაღებული ძალები რეალობა ხდებოდა. მისი აზრით, ცვალებად გლობალურ გარემოში ევროპას საკუთარი თავის დაცვა და თავისი უსაფრთხოებისთვის ნაბიჯების თავად გადადგმა უნდა შეეძლოს. აღნიშნული აზრებიდან კვლავ ჩანს, რომ ევროკავშირის არმიის შექმნის მთავარი ფაქტორები დამოუკიდებელ აქტორად ჩამოყალიბება და თავისი უსაფრთხოების თავად უზრუნველყოფის სურვილებია. ფონ დერ ლეიენის თქმით, „ევროპის არმია უკვე ფორმას იღებს“, თუმცა აღნიშნა, რომ მსგავს მასშტაბურ ინტეგრაციას დიდი დრო და თანდათანობითი პროგრესი სჭირდება, როგორც წარსულში საერთო ბაზრის ჩამოყალიბებას. მან უკვე მიღწეულ პროგრესზე ისაუბრა და განსაკუთრებით PESCO-სა („მუდმივი სტრუქტურირებული თანამშომლობა“) და რამდენიმე ჰოლანდიური დანაყოფის გერმანიის არმიაში ინტეგრაციას გაუსვა ხაზი. ხანგრძლივ პროცესზე მითითება კი ისტორიიდან ევროპული არმიის ჩამოყალიბების

წარუმატებლობის გამოძახილია, რადგან მოკლე ან საშუალოვადიან დროში მისი შექმნის ყველა მცდელობა კრახით დასრულდა.

ერთიანი ევროპული არმიის შექმნის იდეის გააქტიურების მიზეზები

საერთო არმიის შექმნის იდეის გააქტიურებას ევროპის, როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორები განაპირობებდა. გარე ფაქტორებიდან ერთ-ერთი ყველაზე საგულისმო ევროკავშირის მეზობელი უკრაინის შემთხვევაა, რომელიც ევროკავშირსა და რუსეთს ესაზღვრება. 2014 წელს რუსეთმა იქ უკანონოდ ჩატარებული რეფერანდუმის საფუძველზე ყირიმის ანექსია მოახდინა, ხოლო დონბასის რეგიონში, აღმოსავლეთ უკრაინაში, სეპარატისტულ მოძრაობას დაუჭირა მხარი, რომელიც ომის გზით უკრაინისგან გამოყოფას ცდილობს. ეს კი უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაა. (Thompson, 2017) 2014 წლის მარტიდან ევროკავშირმა მიიღო სადამსჯელო ღონისძიებები, როგორც დიპლომატიური, ასევე ეკონომიკური, ყირიმის არაკანონიერი ანექსიის და უკრაინაში მიზანმიმართული დესტაბილიზაციის პასუხად (European Council, 2019). როგორც ვხედავთ, დიპლომატიური თუ ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, რუსეთი უკან დახევას ან საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებდა. უკრაინაში განვითარებული მოვლენები ერთიანი ევროპული არმიის შექმნის იდეის დღის წესრიგში დაბრუნების ერთ-ერთი პირველი მიზეზი იყო. გამოჩნდა, რომ რუსეთი კვლავ აგრძელებდა თავის აგრესიულ პოლიტიკას, რომლის შეჩერებაც ევროკავშირის ხელთ არსებული რბილი ძალის ბერკეტების საშუალებით ვერ მოხერხდა, ამიტომ გაჩნდა იდეა ხისტი ძალის შექმნისაც, როგორც ეფექტური მექანიზმისა, ევროკავშირის აღმოსავლეთი საზღვრების უსაფრთხოების გარანტირებისთვის. ევროპელი პოლიტიკოსების ნაწილმა რუსეთისაგან მომდინარე საფრთხეზე პასუხის გაცემის საშუალებად სწორედ ევროკავშირის არმიის შექმნა მიიჩნია.

ასევე აღსანიშნავია აშშ-ს ფაქტორი. 2016 წელს, პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ, შეიცვალა აშშ-ს პოლიტიკა ევროპისა და NATO-ს მიმართ. დონალდ ტრამპი გამოირჩევა კრიტიკულობით ევროპელი მოკავშირეებისადმი და მათ თავდაცვის ბიუჯეტების გაზრდას მკაცრი ტონით სთხოვს, ასევე ადანაშაულებს

რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებაში, განსაკუთრებით გერმანიას. მაკრონის მიერ ევროპული არმიის შექმენის ინიციატივა და მისი ამერიკისგან თავდასაცავად გამოყენება მან სასტიკად გააკრიტიკა და დამცინავი ტონით გამოეხმაურა. მეტიც, მაკრონის აღნიშნული კომენტარი მან შეურაცხმყოფელად მიიჩნია (Morin, 2018). იქამდე აშშ ევროპის უსაფრთხოების გარანტორად ითვლებოდა, მაგრამ დღევანდელ რეალობაში, როდესაც აშშ-ს პრეზიდენტი NATO-ს მოკავშირეებს უბილეთო მგზავრებად მოიაზრებს, კითხვის ნიშნები ჩნდება აშშ-სა და მისი პრეზიდენტის ცალსახა ერთგულებაში მოკავშირეობრივი ვალდებულებებისადმი (Herszenhorn, 2019). ასევე დონალდ ტრამპმა თავის ევროპელ მოკავშირეებთან სავაჭრო ომი წამოიწყო, რაც ამ კითხვის ნიშნებს უფრო აძლიერებს (Abdulkareem, 2018). ტრამპს ატლანტიციზმის პარადიგმის „მკვლელობაში“ ადანაშაულებენ“ (Schwartz, 2018). აშშ-ს NATO-სადმი ინტერესის შესუსტება გამოწვეულია, მის დიდ სტრატეგიაში ტრამპის პრეზიდენტობის დროს გარკვეული საკითხებისამდი ნეო-იზოლაციონისტური მიდრეკილებების გაჩენით, რაც დანარჩენი მსოფლიოს დაცვისთვის ხარჯების შემცირებასაც გულისხმობს (Bennett, 2018). აშშ-ის ევროპისადმი პოლიტიკის ცვლილებები 2015 და 2017 წლების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების შედარებაში კარგად ჩანს. ობამას ადმინისტრაციის პერიოდში შედგენილ 2015 წლის სტრატეგიაში ევროპისადმი აშშ-ს მთავარ პოლიტიკად სტრატეგიული მოკავშირეობის კიდევ უფრო განმტკიცება და NATO-ს მეხუთე მუხლის გათვალისწინებით ევროპის უსაფრთხოების გარანტირებაა დასახელებული (SEAL of the President of the United States, 2015, pp. 25). ხოლო ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში შედგენილ 2017 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში მოკავშირული რიტორიკა შეცვლილია და ერთ-ერთი პრიორიტეტი ევროპელი მოკავშრეების მიერ თავდაცვის ხარჯების მშპ-ს 2%-მდე გაზრდაა (SEAL of the President of the United States, 2017, pp. 47-48). აქედან გამომდინარე, თუ ევროპა აშშ-ს ვეღარ მიიჩნევს მისი უსაფრთხოების ერთგულ დამცველად და, შესაბამისად, აღარ ექნება გარანტირებული უსაფრთხოების ეს მექანიზმი, სავსებით ლოგიკურია, თუ რატომ გამოვიდნენ ევროპელი პოლიტიკოსები ევროპული არმიის შექმნის იდეით.

ევროკავშირის სამეზობლში არსებულმა არასტაბილურობამ ევროკავშირისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა - მიგრანტების კრიზისი - წარმოქმნა. 2016 წლის ბოლოს

სირიიდან, ერაყიდან და ავღანეთიდან წამოსულმა მიგრანტთა რაოდენობამ 5.2 მილიონს მიაღწია. ეს ევროკავშირის ეკონომიკას პრობლემად აწვება, ასევე ამძაფრებს კრიმინალურ ფონს. მარტო საფრანგეთის ლტოლვილების დასახმარებლად ევროკავშირმა 2016 წელს გასცა 83 მილიონი ევრო (European Commission, 2016). იქედან გამომდინარე, რომ ევროკავშირის შიგნით უვიზოდ გადაადგილდებიან, ამ პრობლემას მხოლოდ ერთი ქვეყნის ძალისხმევა ვერ გაუმკლავდება. ამ საერთო ევროპულმა საფრთხემ გააძლიერა სურვილი საერთო ევროპული თავდაცვის მექანიზმის არსებობისა, მათ შორის არმიისაც, რადგან საჭიროა სამხრეთიდან მომდინარე საფრთხის შეკავება - მიგრანტთა ნაკადები აწყდება ევროკავშირის სამხრეთ ქვეყნებს, რამაც გამოაჩინა ევროკავშირის სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოების ამაღლების აუცილებლობა.

გარე საფრთხეებს ემატება შიდა საფრთხეებიც, როგორიც, მაგალითად, ტერორიზმია. 1970-იანი წლებიდან დაიწყო ტერორიზმის პრობლემის გამწვავება ევროპაში. მიზეზები სხვადასხვა იყო - ნაციონალიზმი, რელიგიური ფუნდამენტალიზმი, რეჟიმის ცვლილების სურვილი. ეს ტალღა შემცირდა 1990-იან წლებში, მაგრამ გაღვივდა 2000-იან წლებში მადრიდზე და ლონდონზე თავდასხმით. თანდათან გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საფრთხე წამოსული იყო სამხრეთი მეზობლებისგან. პრობლემის აღსაკვეთად 2001 წლიდან ევროკავშირში ანტიტერორისტული კანონმდებლობის გაძლიერება გადაწყვიტეს. ამან შენგენის ზონის საკითხიც პრობლემური გახადა. 2013-2014 წლებიდან ტერორიზმი ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად იქცა. მაგალითად, 2016 წლებში პარიზში და ნიცაში მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ტურისტების რაოდენობა (ევროპაში ტურისტების 15-20%-იანი კლება გამოიწვია) (Gaub,2017). შესაბამისად, ტერორიზმის პრობლემა არის უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა და მისი მოგვარების სურვილი თავდაცვის სფეროში, და მათ შორის ევროკავშირის არმიის საკითხშიც, თანამშრომლობის გაღრმავების მაპროვოცირებელი ფაქტორია.

ამასთან, ბოლო პერიოდში არსებული ყველაზე მნიშნელოვანი შიდა გამოწვევა ბრექსიტია. 2016 წელს გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული რეფერენდუმზე მოსახლეობის უმრავლესობამ ევროკავშირის დატოვებას დაუჭირა მხარი, რამაც

ევროკავშირში უსაფრთხოების სფეროში სიტუაცია საკმაოდ შეცვალა. გაერთიანებული სამეფო ევროპაში სამხედრო და სადაზვერვო სფეროებში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ მიიჩნევა და მის მიერ ევროკავშირის დატოვება, კავშირს უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე აყენებს. მას მოუწევს ამოავსოს ბრექსიტით შექმნილი სიცარიელე უსაფრთხოებაში. ასევე გაერთიანებული სამეფო ევროპაში ფრანგულ-გერმანული სამხედრო ალიანსის ინიციატივის დამბლოკავად მოიაზრებოდა, მაგალითად, ის PESCO-ს პროგრესს აფერხებდა (Pannier, 2019). მისი გასვლის შემდეგ ეს დამაბრკოლებელი ფაქტორი აღარ იქნება. ზემოთ ნახსენმა მიზეზებმა იჩინა თავი, როდესაც ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში - ფრედერიკა მოგერინიმ - ბრექსიტის ხმის მიცემის შემდეგ განაცხადა, რომ ევროკავშირის სახელმწიფოებს უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა უნდა გაეღრმავებინათ და გაერთიანებული სამეფოს გასვლა მათ ამ მხრივ წინსვლის პასუხისმგებლობის არიდების საშუალებას არ აძლევდა; გაერთიანებული სამეფო ხომ ამას დიდი ხანი ეწინააღმდეგებოდა (Johnston, 2016). შესაბამისად, ბრექსიტს ევროპული არმიის შექმნის იდეის წამოჭრის ერთ-ერთ მიზეზია.

ევროკავშირის არმიის შექმნის იდეის დაბრუნებაში ევროპის შიდა საკითხები (ბრექსიტი, ტერორიზმი და ა.შ.) უფრო დამხმარე როლს ასრულებს, მთავარ განმსაზღვრელ მიზეზებს კი გარე ფაქტორები წარმოადგენს. ევროპელ პოლიტიკოსებში გარე ძალებთან დამოუკიდებლად გამკლავებისა და აშშ-სგან დამოუკიდებელი ძალის პოლუსის შექმნის მიზნით საერთო არმიაზე ფიქრი სწორედ აღმოსავლეთიდან რუსეთისგან და სამხრეთიდან მიგრანტების ტალღებისგან მომდინარე საფრთხეებმა და აშშ-ს, როგორც დასახელებული საფრთხეებისგან ევროპის თავდაცვის მექანიზმის, შესუსტებამ განაპირობა.

მიზეზები თუ რატომ ვერ შეიქმნება ევროკავშირის არმია მოკლე და საშუალო პერსპექტივაში

ჩვენი ვარაუდით, ევროპული არმიის შექმნა მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში ვერ მოხერხდება. ამას ევროკავშირის იდეის გააქტიურების მიზეზების მსგავსად, როგორც სისტემური, ისე ევროკავშირის შიდა ფაქტორები განაპირობებს.

ერთ-ერთ მთავარ სისტემურ დაბრკოლებას ევროპული არმიისთვის NATO-ს არსებობა წარმოადგენს (Henszenhorn, 2019). მერკელის განცხადების მიუხედავად, რომ ევროპული არმია NATO-ს წინააღმდეგ კი არ იქნებოდა მიმართული, არამედ მისი დამატება იქნებოდა, NATO-ს ბრიტანელი და ამერიკელი მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ ევროპული არმია მხოლოდ NATO-ს დუბლირება იქნებოდა და ძალიან რთული წარმოსადგენი იქნებოდა სიტუაცია, როდესაც NATO- და ევროპული არმია თანაიარსებებდნენ ორი განსხვავებული სამეთაურო სტრუქტურით. NATO-ს სიძლიერე მდგომარეობს მის ერთიან სამეთაურო, დაგეგმვით და საკონტროლო მექანიზმში, ხოლო ევროპული არმია ამ სფეროების გახლეჩვას გამოიწვევს, რაც გადაწყვეტილების მიღებას, კოორდინაციასა და მოქმედებას გაართულებს (Bendimered, 2018). მაგალითად, დუბლირების პრობლემიდან გამომდინარე, NATO-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ევროკავშირის თავდაცვის ამ ამბიციურ პროექტს ეწინააღმდეგება (Gotev, 2018).

როგორც ზემოაღნიშნული, ისე ევროპაში გავლენის შენარჩუნების მიზეზის გამო აშშ, განსაკუთრებით კი მისი პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი, უარყოფითად არის განწყობილი ევროპული არმიის პერსპექტივისადმი, მიუხედავად ევროკავშირის ლიდერების განცხადებებისა, რომ ევროკავშირის არმიამ აშშ-სთან ურთიერთობები არ უნდა გააფუჭოს. პროექტისადმი აშშ-ის წინააღმდეგობა სისტემურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ევროპა აშშ-სგან დამოუკიდებელი ძალის პოლუსის ჩამოყალიბებას ცდილობს, რაც საერთაშორისო ძალთა ბალანსს მნიშვნელოვნად შეცვლის. ამერიკელ პოლიტიკოსებს აღაშფოთებთ ეს ინიციატივა, რადგან მას აშშ-ს გავლენის შემცირებისკენ მიმართულად მიიჩნევენ. ასევე აშშ-ს დახმარების გარეშე ევროპელთა სამხედრო პოტენციალი მეტად შეზღუდულია, რაც გამოჩნდა კიდევაც ლიბიის საჰაერო კამპანიის დროს 2011 წელს (The Economist, 2018). ასევე გაერთიანებული

სამეფოც ამ იდეის მოწინააღმდეგეა, რომელიც ყველანაირად ცდილობს კონტინენტურ ევროპაში ფრანგულ-გერმანული სამხედრო ალიანსის შექმნა არ დაუშვას.

შიდა სახის პრობლემებიდან ევროპული არმიის შექმნის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი მისი დაფინანსების პრობლემაა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ევროპული სახელმწიფოების უმეტესობა ვერ აკმაყოფილებს NATO-ს სტანდარტსაც კი - თავდაცვის ბიუჯეტის განსაზღვრა მშპ-ს მინიმუმ 2%-ით. ამის გათვალისწინებით ამ ეტაპზე არ ჩანს იმის შესაძლებლობა თუ საიდან დააფინანსებენ ასეთ მასშტაბურ პროექტს. როგორც ცნობილია, ევროკავშირის სახელმწიფოებში ე.წ. „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ დოქტრინები მოქმედებს და ისინი ბიუჯეტის განაწილებისას მეტ სახსრებს გამოყოფენ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ჯანდაცვის დაფინანსებისთვის, ვიდრე შეიარაღებისათვის (Herszenhorn, 2019). ამიტომ ევროპული არმიის დაფინანსებას ისინი სიხარულით არ შეხვდებიან. ასევე კვლევებიც ადასტურებს, რომ ევროკავშირს არმიის შესაქმნელად სახსრების მოძიება გაუჭირდება (Matthijs, 2018).

შიდა საკითხებიდან ასევე აღსანიშნავია, რომ ევროპული არმიის შექმნას ძნელად წარმოსადგენს ქმნის ევროკავშირის რთული სტრუქტურა და მასში გადაწყვეტილების მიღების პრობლემა. საერთო საგარეო და უსაფრთხოების, თავდაცვისა და მსგავს საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა სახელმწიფოს თანხმობა, რაც თითოეული მათგანის პოზიციის შეჯერებითა და კონსენსუსით მიიღწევა, მაგრამ ისეთ კომპლექსურ საკითხზე, როგორიც საერთო არმიის ჩამოყალიბებაა, ძნელი წარმოსადგენია, რომ 28 წევრმა სახელმწიფომ შეძლოს საერთო პოზიციაზე შეთანხმება. ევროკავშირის შიგნით არ არსებობს თანხმობა ამ საკითხზე. აღმოსავლეთ ევროპული წევრი სახელმწიფოები, რომლებისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთისგან მომდინარე საფრთხის განეიტრალება, ევროპული არმიის იდეას ეჭვის თვალით უყურებენ. მათ აქვთ კითხვები, თუ როგორ გამოიძებნება მისთვის ფინანსები და ასევე მას NATO-ს დუბლირებად მიიჩნევენ. ამ შემთხვევაში კი, NATO- და აშშ მათთვის უკეთესი უსაფრთხოების გარანტორები და რუსეთისგან დამცველები არიან, რაც თუნდაც აშშ-სა და ევროპის სამხედრო პოტენციალების შედარებიდან ჩანს (DW, 2015). ევროკავშირს სახელმწიფოები

თვალსაჩინოდ ჩამორჩებიან აშშ-ს შეიარაღების თვალსაზრისით, ასევე ევროკავშირის ყველა სახელმწიფოს ერთად მხოლოდ 1.5 მილიონი სამხედრო მოსამსახურე ჰყავს, მაშინ როდესაც მარტო ჩინეთს - 2.2 მილიონი (Herszenhorn, 2019).

დასკვნა

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1950-იანი წლებიდან დღემდე გამოიკვეთა ევროპული თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირებაში ატლანტიციზმისა და გოლიზმის კონკურენცია, რაც დღესაც გრძელდება. ასევე გამოჩნდა ის ისტორიული ფაქტორები, რომლებიც კვლავ რელევანტურია დღეს ევროპული არმიის საკითხის განხილვისას. სტატიაში გამოიკვეთა ევროპული არმიის დღის წესრიგში დაბრუნების შიდა - ტერორიზმისგან მომდინარე საფრთხე, ბრექსიტი; და გარე ფაქტორები - რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის ხელყოფა, მიგრანტების კრიზისით გამოწვეული სამხრეთის საზღვრების უსაფრთხოების პრობლემა, , აშშ-ს ნეო-იზოლაციონისტური პოლიტიკისკენ გადახრა და დონალდ ტრამპის კრიტიკა და მისი ნდობის დაკარგვა. ამის შემდეგ კი ის ფაქტორები გამოიკვეთა, რაც ჩვენს ვარაუდს ამყარებს, რომ მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში ევროპული არმია ვერ შეიქმნება. სისტემური ხასიათის ფაქტორებიდან აღსანიშნავია NATO-ს დუბლირების პრობლემა, აშშ-ს, გაერთიანებული სამეფოსა და NATO-ს მაღალჩინოსნების უარყოფითი დამოკიდებულება; ხოლო ევროკავშირის შიდა საკითხებიდან გამოყოფილი იყო დაფინანსების საკითხი, ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პრობლემა, აღმოსავლეთ ევროპის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ატლანტიციზმის პარადიგმის ერთგულება და ევროპის სახელმწიფოების სუსტი სამხედრო პოტენციალი.

ბიბლიოგრაფია

კაპანაძე, ს. (2006). *ევროკავშირის პოლიტიკა*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

Abdulkareem, Y.A. *Conflict, international trade and President Trump's isolationist policies*. Journal of International Trade Law and Policy, volume 17, issue ½

Baume, M. and Herszenhorn, D. (2017). *Merkel joins Macron in calling for EU army to complement NATO.* Web: https://www.politico.eu/article/angela-merkel-emmanuel-macron-eu-army-to-complement-nato/, retrived: 15.05.2020

Bennett, B. (2018). *President Trump Showed His Contradictory Foreign Policy Doctrine in Iraq. Call it "Hawkish Isolationism"*. Web: http://time.com/5489044/donald-trump-iraq-hawkish-isolationism/ retrieved: 15.05.2020

Bendimered, L. (2018). *Is a European Union army realistic*. Web: https://www.defenceiq.com/army-land-forces/news/will-a-european-army-compliment-nato retrieved: 16.05.2020

Besch, S. (2016). AN EU ARMY? FOUR REASONS IT WILL NOT HAPPEN. CENTRE FOR EUROPEAN REFORM – Insight. Web: https://www.cer.eu/insights/eu-army-four-reasons-it-will-not-happen retrieved: 12.06.2020

Basov, F. (2019). *Is Europe Ready to Form Its Own Army?* Web: https://valdaiclub.com/a/highlights/is-europe-ready-to-form-its-own-army/; https://www.weforum.org/agenda/2019/09/is-europe-ready-for-its-own-army/ retrieved: 12.06.2020

Braw, E. (2019). A "True European Army?" Dream On. Web: https://www.wsj.com/articles/a-true-european-army-dream-on-1542577953 retrieved: 12.06.2020

Brown, S & Henszenhorn, D.M. (2020). *Von der Leyen: EU must develop "credible military capabilities".* Web: https://www.politico.eu/article/ursula-von-der-leyen-eu-military-capabilities/ retrieved: 14.06.2020

Deutsche Welle (2020). *Munich Security Conference: German foreign minister calls for European defense union within next 10 years.* Web: https://www.dw.com/en/munich-security-conference-german-foreign-minister-calls-for-european-defense-union-within-next-10-years/a-52375318 retrieved: 14.06.2020

Deutsche Welle (2015). *Poland, Latvia skeptical of proposed EU army.* Web: https://www.dw.com/en/poland-latvia-skeptical-of-proposed-eu-army/a-18306493 retrieved: 16.05.2020

Deutsche Welle (2016). *Junker calls for an EU army*. Web: https://www.dw.com/en/juncker-calls-for-an-eu-army/a-36337676 retrieved:16.05.2020

Deutsche Welle (2017). *PESCO: EU army one step closer after defense pact agreement.* web: https://www.dw.com/en/pesco-eu-army-one-step-closer-after-defense-pact-agreement/a-41741828 retrieved: 15.05.2020

Deutshce Welle (2019). *Von der Leyen: "Europe must learn the language of power".* Web: https://www.dw.com/en/von-der-leyen-europe-must-learn-the-language-of-power/a-51172902 retrieved: 14.06.2020

The Economist (2018). *Emmanuel Macron's calls for a European army are misguided*. Web: https://www.economist.com/leaders/2018/11/08/emmanuel-macrons-calls-for-a-european-army-are-misguided retrieved: 15.05.2020

E*gleder, J.M. (2020). The long road towards a shared EU army. Web:* https://www.dandc.eu/en/article/if-eu-had-its-own-army-it-could-also-have-military-role-world retrieved: 12.06.2020

European Commission (2016). *Refugee Crisis in Europe.* Web: https://ec.europa.eu/echo/refugee-crisis retrieved: 13.05.2020

European Council (2019) *EU restrictive measures in response to the crisis in Ukraine*

Web:https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/ukraine-crisis/?fbclid=IwAR3HTXEdilYZl1Ra_Pw1ruZgSp14Buk-Gp_PDL7-8gUENthiWLUDOb0Mnrg retrieved: 15.05.2020

Franke, U.E. (2018). The "European Army", a tale of wilful misunderstanding. European Council On Foreign Relations (ECFR) – Commentary. Web: https://www.ecfr.eu/article/commentary_the_european_army_a_tale_of_wilful_misunderstanding *retrieved: 12.06.2020*

Gaub, F. (2017). *Trends in terrorism*. Europian Union Institute for Security Studies, March 2017(4)

Gotev, G. (2018). *Stoltenberg opposes EU defence duplicating NATO, Putin likes this idea.* Web: https://www.euractiv.com/section/defence-and-security/news/stoltenberg-opposes-eu-defence-duplicating-nato-putin-likes-the-idea/ retrieved: 16.05.2020

Gjerovi, E. (2019). France's EU army ambitions may not be good for the rest of Europe. Web: https://www.trtworld.com/magazine/france-s-eu-army-ambitions-may-not-be-good-for-the-rest-of-europe-31370 *retrieved: 12.06.2020*

Gros-Verheyde, N. (2018). European army: No longer a taboo subject. Web: https://www.euractiv.com/section/politics/news/european-army-no-longer-a-taboo-subject/ *retrieved: 12.06.2020*

Henszenhorn, D.M. (2019). *Europe's NATO problem*. Web: https://www.politico.eu/article/europe-nato-problem-defense-procurement-training-research/ retrieved: 14.05.2020

Ibrahim, A. (2019). *Europe Is Ready for Its Own Army.* Web: https://foreignpolicy.com/2019/09/05/europe-is-ready-for-its-own-army/ retrieved: 12.06.2020

Johnston, C. (2016). *EU reveals plans for military cooperation following Brexit vote* Web: https://www.theguardian.com/world/2016/sep/08/european-union-plans-military-battlegroups-after-brexit-vote retrieved: 13.05.2020

Kaleta, P. (2019). *German minister wants a European (Parliament) army.* Web: https://www.politico.eu/article/german-minister-wants-a-european-parliament-army/ retrieved: 14.06.2020

Kluth, A. (2019). *A European Army Will Never Happen.* Web: https://www.bloomberg.com/opinion/articles/2019-12-02/a-european-army-will-never-happen-nato-remains-essential retrieved: 12.06.2020

Leyen, U. (2019). *Europe is forming an army.* Web: https://www.handelsblatt.com/today/opinion/ursula-von-der-leyen-europe-is-forming-an-army/23851656.html?ticket=ST-3455632-cyizAmgYkQ0gkmkshbuR-ap3 retrieved: 14.06.2020

Matthijs, H. (2018). *Is There Money for a European Defence Force?* Advances in Politics and Economic, Vol. 1, No. 1, 2018

Mauro, F. & Jehin, O. (2019). WHY DO WE NEED A EUROPEAN ARMY?. Institut De Relations Internationales Et Strategiques - Analysis #1 – Europe, Strategy, Security Programme.Web:https://www.iris-france.org/wp-content/uploads/2019/04/ProgEurope-MAURO-JEHIN-1-Eng-EU-army-2019.pdf retrieved: 12.06.2020

Mischke, J. (2019). *New German minister Kramp-Karrenbauer aims to develop EU defense integration.* Web: https://www.politico.eu/article/new-german-defense-minister-aims-to-develop-eu-defense-integration/ retrieved: 14.06.2020

Morin, R. (2018). *Trump calls Macron's comments on building a European army to defend against US "insulting".* Web: https://www.politico.eu/article/trump-calls-macrons-comments-on-building-a-european-army-to-defend-against-u-s-insulting/ retrieved: 14.06.2020

O'Brien, B. (2018). European army would be no way to honour Armistice. Web: https://www.irishtimes.com/opinion/european-army-would-be-no-way-to-honour-armistice-1.3700157 retrieved: 12.06.2020

Ouest France, (2017). *Sorbonne speech of Emanuel Macron - Full text/ English version,* Web: http://international.blogs.ouest-france.fr/archive/2017/09/29/macron-sorbonne-verbatim-europe-18583.html, retrived: 15.05.2020

Pannier, A. (2019). *European defence cooperation after Brexit: The Politics of Acronyms* Web: https://atlantic-community.org/european-defence-cooperation-after-brexit-the-politics-of-acronyms/ retrieved: 13.05.2020

Pothier, F. (2019). A European army: can the dream become a reality? International Institute for Strategic Studies.

Web: https://www.iiss.org/blogs/analysis/2019/01/macron-european-army-reality retrieved: 12.06.2020

SEAL of the President of the United States. (2015). *National Security Strategy.*

SEAL of the President of the United States. (2017). *National Security Strategy of the United States of America.*

Schwartz, M. (2018). *The end of Atlanticism: has Trump killed the ideology that won the cold war?* Web: https://www.theguardian.com/news/2018/sep/04/atlanticism-trump-ideology-cold-war-foreign-policy Retrieved: 14.05.2020

Stadnik, S. (2016). A Comparative Historical Study of the Development of a European Army. Page 7. Web: https://www.e-ir.info/pdf/63596

Thompson, N. (2017). *Ukraine: Everything you need to know about how we got here*. Web: https://edition.cnn.com/2015/02/10/europe/ukraine-war-how-we-got-here/index.html retrieved: 15.05.2020

Voskopoulos, G. (2006) *European Integration: From Gaullism to Atlanticism and Europeanism*. Conference: European Union, Volume: 45, Book 4.

Weise, Z. (2019). *Ursula von der Leyen: In her own words*. Web: https://www.politico.eu/article/in-her-own-words-ursula-von-der-leyen-european-commision-president-angela-merkel-cabinet-german-defense-minister/ Retrieved: 20.10.2020

Алкснис, И. (2018). *Великая европейская армия "для защиты от США и России": Путину нравится.* Web: https://ria.ru/20181114/1532715336.html